ხუთშაბათი, 4 სექტემბერი 1919 წ. [illegible] № 189

# ერთობა

ფასი 1 მან.

[illegible] 1 თვით 35 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე [illegible] პეტიტის სტრიქონი—? [illegible] განცხადება 40 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

7 ენკენისთვეს, კვირას სოფ. მიქელგაბრიელში, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**ნადია ივანე კანდელაკის ასულის ქინქლაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი კასიანე რემანოზის ძე ქინქლაძე. მაზლები: დანიელ, ისიდორე და ნოე. მულები თვისო და ელენე. დედამთილი ელისაბედ, სიძე არტემ ეგნატეს ძე ხომერიკი.

სიძე ანტონი და დისწულები: მირიანი, ნატაშა, ვერა, ოფელია, პეპელა და მარუსა თედორაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ცოლის ძმის, ხოლო დანარჩენი საყვარელ ბიძის

**გათო კალანდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ხიდისთავში (გურია) ხუთშაბათს 4 აგვისტოს.

## სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობა

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება რ. აცანელის წერილი სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ.

სოფლის მასწავლებელთა გაჭირვებული მდგომარეობა არ ახალია. მასზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა და უნდა ითქვას, ამ ბოლო დროს ბევრიც ცდილა მათი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და რამდენათაც შესაძლებელი იყო ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობაში, სათანადო ზომებიც მიღებულა. მაგრამ, თუ მეტი არ გაკეთდა, ეს შედეგი იყო და არის იმ დაუძლეველ დაბრკოლებათა, რომელიც აღიმართა ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ განვითარების გზაზე.

სოფლის მასწავლებელთა მოწინავე ნაწილი გრძნობდა ყოველივე ამას, ითვალისწინებდა და ითვიხებდა სიმძიმეს მდგომარეობისას, იტანდა იობის მოთმინებით თავის მწარე ხვედრს და ერთხელაც არ წამოეგო იმ ანკესზე, რომელსაც გაფიცვის სახით უგდებდა მას მისი ინტერესების ვითომდა დამცველები.

დიდია ღვაწლი სოფლის მასწავლებლებისა ჩვენი ცხოვრების ყოველ მხრივ განვითარებაში. მას, გარდა თავის პირდაპირი მოვალეობისა, არც ერთი საზოგადოებრივი საქმე არ დაუტოვებია უყურადღებოთ. ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა და იღებს სოფლის საქმეების მოგვარებაში და დაკანონებული ცხოვრების აწევა-ამაღლებაში. მადლიერი რესპუბლიკა თავის წმინდა მოვალეობათ რაცხდა სოფლის მასწავლებლისადმი უაღრეს ყურადღებას, მარა თუ მეტი ვერ შესძლო, ეს, როგორც ვთქვით, შედეგია ჩვენი აფორიაქებული და ეკონომიურათ გავერანებული ცხოვრებისა.

ახლა, როგორც იგივე ავტორი იწერება, ძველ გამოცდილ სოფლის მასწავლებლებს გადაუწყვეტიათ გაშორდენ სკოლას და სხვაგან ეძიონ თავშესაფარი. მათ ადგილს თურმე ისეთები იჭერენ, რომლებსაც ორკლასიანი სკოლები ძლივს გაუთავებიათ.

ეს ფაქტი იმდენათ სამწუხარო და სავალალოა, რომ, თუ მან ფართე ხასიათი მიიღო, ჩვენი სკოლების ბედი ისე უკუღმა დატრიალდება, რომ მისი აღდგენისათვის არა ერთი და ორი წელი იქნება საჭირო. მარა, განა მარტო სკოლა და სწავლა-განათლების საქმე ჩავარდება განსაცდელში?!

მთელი ჩვენი სოფლის ცხოვრება, რომლის სათავეში დღეს სოფლის მასწავლებელი დგას, ისეთ მდგომარეობაში მოხვდება, რომ ვინ იცის რა მახინჯ სახეს მიიღებს. ამიტომ, როგორც მთავრობამ, ისე ერობებმა ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რომ ამ ტენდენციას მასწავლებელთა წრეებში გასავალი არ ექნეს, სწორედ დღეს არის სკოლებში გამოცდილი და გულშემატკივარი მასწავლებლები. განახლებულ ცხოვრებას განახლებული სკოლა უნდა და ასეთი სკოლების ჩაბარება არ შეიძლება ისეთ მასწავლებლებისათვის, რომლებიც თურმე ასე ბლომად იყრიან თავს ამ ჟამად ჩვენს სკოლებში.

ჩვენმა მთავრობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ძველი, გამოცდილი მასწავლებლების მიერ სკოლების მიტოვებას, და რამდენათ შესაძლებელი იქნება ჩვენს დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობაში, მათი მატერიალური მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამავე დროს თვით მასწავლებლებმა უნდა შემოიკრიბონ უკანასკნელი ძალ-ღონე და დროებით კიდევ თავის გაჭირვებით დააგვირგვინონ ის დიადი საქმე, რომელსაც ამდენი შრომა და ენერგია შესწირეს. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ თუ ჩვენი ქვეყნის ბედი უკუღმა არ დატრიალდა, მადლიერი რესპუბლიკა არ დაივიწყებს იმ დიად ღვაწლს, რომელიც მიუძღვის სოფლის მასწავლებელს ჩვენი ხალხის წინაშე და ღირსეულადაც დააფასებს მას.

## პრესა

„ნორ აშხატავორი“ (№ 181) ეხება შეთანხმების საკითხს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის და, სხვათა შორის, სწერს შემდეგს:

„უკვე შესრულდა სრული წელიწადი, რაც ამიერ-კავკასიის სამმა რესპუბლიკამ დაიწყო თავისუფლათ, დამოუკიდებლათ ცხოვრება, შინაგან და გარეშე პოლიტიკის წარმოება, მაგრამ აქამდე ვერ მოაგვარეს სადავო საკითხების შესახებ, განსაკუთრებით საზღვრების საკითხში. და უმთავრესად ეს არის მიზეზი, რომ საურთიერთო დამოკიდებულებანი სამ რესპუბლიკებს შორის არეულია სადავო საკითხების გამო. შექმნილი ანორმალური ურთიერთ დამოკიდებულობანი ზეგავლენას ახდენენ შინაგან პოლიტიკაზე, ქმნიან მერყევ მდგომარეობას ეროვნულ უმცირესობისთვის“.

შემდეგ გაზეთი სწერს იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიან შეთანხმების ჩამოგდებას აძერბეიჯანის და სომხეთის შორის, და, რასაკვირველია, უმთავრესად, აძერბეიჯანის აგრესიულ პოლიტიკას სდებს ბრალს.

„რაც შეეხება საქართველოს და სომხეთს შორის არსებულ საზღვრის საკითხების საქმეს, უნდა ითქვას, სულ სხვაა. მიუხედავათ იმისა, რომ რამდენიმე თვეების წინ იარაღიც აჟღარუნდა, მიუხედავათ იმისა, რომ რამდენჯერმე ცდაც იყო, რომ შეთანხმება მოეხდინათ, მაგრამ სულ უშედეგოთ გაიარა, მიუხედავათ იმისა, რომ ქართული აგრესიული და შოვინისტური პრესამ ახლა კიდევ ქუავილი დაიწყო სომხეთის წინააღმდეგ და მოითხოვს დაუყონებლივ ნეიტრალური ზონის დაკავება, მიუხედავათ გარეშე მოუხერხებელ პირობებისა, ჩვენ გვგონია, რომ ორი რესპუბლიკის მთავრობათა შორის შესაძლებელია შეთანხმების მოხდენა საზღვრების შესახებ. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ამ საზღვრების გამო დავის წყალობით აქამდე, თუმცა ტრანზიტის საკითხზე შეთანხმებაც მოხდა, მაგრამ სომხეთი ფაქტიურათ გამოცხადებულია ქართულ მთავრობის მხრივ, და ქართული რესპუბლიკა მოკლებულია სომხეთის საჭირო დახმარებისაგან მის (საქართველოს) საურთიერთო მდგომარეობის დამტკიცების საკითხში, და როცა ჩრდილოეთით საქართველოს რესპუბლიკას მოელის დიდი საფრთხე, დამეორე მხრით, როცა სომხეთს სამხრეთიდან ემუქრებიან სავსებით გაანადგურონ, ურთიერთი შეთანხმება ორ რესპუბლიკებს შორის, ადვილად მოაშორებს მოსალოდნელ სიმწარის ფიალას.

„ჩვენ გვგონია, რომ ორივე რესპუბლიკები შეიგნებენ მომენტის სერიოზულობას და მოსალოდნელი საშინელებას, თავიანთში იმდენ ყოჩაღობას იპოვნიან, რომ სამუდამოთ გადასჭრიან საზღვრების სადავო საკითხებს“.

„ნორ-აშხატავორი“ იმედოვნებს, რომ საზღვრის საკითხი იოლათ გადაიჭრება ამ რესპუბლიკებ შორის. ჩვენმა მთავრობამ ჩვენი დემოკრატიის აშკარა სურვილის თანახმათ არა ერთხელ მოუწოდა სომხეთის მთავრობას მოლაპარაკება დაეწყოთ ამ საგანზე. ჩვენ გვწამს, რომ ევროპის განათლებული სახელმწიფოებიც შესძლებენ ამ საკითხში გარკვევას. პოლკოვნიკ ჰასკელის დაკვირვებული მოქმედება და სურვილი თავდებია იმის, რომ მისი საშვალებით საზავო კონფერენცია შექმნის აქ ისეთ პირობებს, რომელიც მშვიდობიანობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. მაგრამ ეს იქნება სხვის ხელით გაკეთებული და მაშა ადამე ჩვენი უვარგისობის დამამტკიცებელი. ჩვენ ამიტომ გვინდა ეს შინაური დავა თვით მოვაწესრიგოთ საკუთარი ძალებით.

და ჩვენ ვამბობთ: თქვენ მომხრე ხართ შეთანხმების, ბატონო დაშნაკელებო? ჩვენც მზათ ვართ მოლაპარაკებისთვის, ჩვენი პრესა მუდამ აქეთკენ მოგიწოდებთ. ჩვენი მთავრობაც ამ პოზიციაზე დგას. სიტყვა, რომლითაც „ნორ-აშხატავორი“ გვიმასპინძლდება, კარგია, თუმცა შიგ აქა იქ შხამის წვეთებიც ურევია (ქართული პრესის იმპერიალიზმზეა), მაგრამ ჩვენ მაინც გვირჩევნია საქმე.

ვიმეორებთ, ველით მხოლოდ სომხეთის მხრივ მოლაპარაკებაზე დათანხმებას. საქართველოს მთავრობა ერთი წუთითაც არ დაფიქრდება მოლაპარაკების დასაწყებათ. მაგრამ მოლაპარაკების ნაყოფიერებისთვის საჭიროა ერთხელ მაინც გამოჩენა წრფელი გულის და მტკიცე ნებისყოფისა საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად. მაშინ ნეიტრალური ზონის და არც სხვა საკითხი არ წარმოსდგება ჩვენს წინაშე. მოწესრიგდება ურთიერთობა ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში, საერთაშორისო ასპარეზზედაც მეტი საშუალება გვექნება თავის ინტერესების დაცვის... ჩვენ მზათ ვართ.

## მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობა

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“-ში მოთავსებულია ამ ისტორიულ ყრილობის შემდეგი ანგარიში:

31 აგვისტოს 1919 წ. ბათომში ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა პირველი ყრილობა მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლებისა, რომელსაც დაესწრო 96 დელეგატი.

დაესწრენ აგრეთვე 1) საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: პ. საყვარელიძე, ს. ფირცხალავა და პ. სურგულაძე. 2) საქართველოს კონსული ნ. ალნიაშვილი, 3) აძერბეიჯანის კონსული ეფენდიევი, 4) სპარსეთის კონსული, 5) სომხეთის კონსული გ. ედიგაროვი და 6) ბათომელ ქართველთა ეროვ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ჯაყელი.

კრება გახსნა მემედ ბეგ აბაშიძემ, მიესალმა მას სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის სახელით, კონფერენციის კრება გახსნილათ გამოაცხადა და განაცხადა, რომ დღევანდელი ყრილობა მოწვეულია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისაგან, რომელმაც დღემდის დიდი ტანჯვა გადაიტანა, მაგრამ მან მაინც თავის მიზანს მიაღწია. რასაც მოწმობს დღევანდელი კრება და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში განმტკიცდება ის, რასაც ეს კომიტეტი ემსახურებოდა.

შემდეგ ორატორმა მოუწოდა კრებას აერჩია მას პრეზიდიუმი და შესდგომოდა საქმეს.

ერთხმათ იქნენ არჩეულნი: თავმჯდომარეთ მემედ ბეგ აბაშიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ: ხაფიზ ისკენდერ ეფენდი ცივაძე, სულეიმან ბეი ბეჟანიძე, ზია ბეი აბაშიძე, იზეტ ეფენდი ხალვაში, ისმაილ აღა ჯოშხუნ ზადე, მუსტაფა-აღა ჯიმერ ოღლი და ხაფიზ ბეი სურმანიძე, და მდივნებათ: თაჰსინ ბეი ხიმშიაშვილი, ჯამალ ეფენდი ქიქავა და სულეიმან ეფენდი ვარშანიძე. პრეზიდიუმის წევრები თავიანთ ადგილებს იჭერენ.

მემედ ბეგ აბაშიძე მადლობას უცხადებს კრებას ამ დიდმნიშვნელოვანი ყრილობის თავმჯდომარეთ არჩევისთვის და ნდობისათვის და მიმართავს შემდეგი სიტყვით:

„ხუთი წლის ომმა და რევოლიუციამ მთელი ცხოვრება დაანგრია და დაამტკიცა, რომ კაცობრიობა ძველ ცხოვრებას და წეს-წყობილებას ვერ დაუბრუნდება. ყველა ხალხი ამოძრავდა, ყველა ეძებს თავისუფლებას თავისი ერის და ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ჩვენ უნდა დაუკვირდეთ მას, მოვიგონოთ ჩვენი წარსული ტანჯული ცხოვრება, გავითვალისწინოთ ყოველივე და ნუ დავზოგავთ ნურასფერ ღონისძიებას ჩვენი საქმის მოწყობისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის. ნუ ვიგვიანებთ, რადგან დაგვიანება საქმეს წაახდენს. ჩვენი სამშობლო ომის შემდეგ კუნძულს წარმოადგენს, რომელსაც ყველა ეპოტინება და მის ჩაყლაპვას ლამობს. ასეთ გაჭირვებულ დროში არავის ვხედავთ ჩვენს მშველელს გარდა საქართველოსი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგაროთ და თავგანწირულად ცდილობს ჩვენი დაღუპვისაგან გადარჩენას. ჩვენ უნდა დავაფასოთ ეს და დავემყაროთ მის ძალას და გამოცდილებას, რადგან ქართველმა ხალხმა უკვე დაანახა ქვეყანას, რომ ის ღირსია სისგან [illegible] დამოუკიდებლობისა.

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, მაგრამ მასთან ერთად ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოს ღვიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი ჩვენი ხსნა არ არის. მოიგონეთ, რომ როცა ჩვენ ვძრწოდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელი იყო მხოლოდ ჩვენი ძმები—ქართველი ქრისტიანები. დაუკვირდით ყველაფერს კარგათ და თქვენი გადაწყვეტილება მომავალი ჩვენი ცხოვრების შესახებ ისე გამოიტანეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ პასუხისმგებელი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე. მოიგონეთ, თუ რას წარმოვადგენთ ჩვენ ახლა. ჩვენ სახლში, ჩვენ ქვეყანაში, როცა ჩვენ ჩვენი ქვეყნის მართვა გამგეობაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ ვიღებთ და ჩვენს ბედს და იღბალს უცხოელნი განაგებენ. მაგრამ დღეს ჩვენმა ხალხმა უკვე გამოიღვიძა ხანგრძლივი ძილისაგან და გადასწყვიტა შეერთებული ძალებით თითონ შეიქმნეს თავისი ბედის პატრონი, რასაც მოწმობს დღევანდელი კრება.

შემდეგ თავმჯდომარე ნებას ითხოვს კრების სახელით მიესალმოს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრებს პ. საყვარელიძეს, ს. ფირცხალავას და პ. სურგულაძეს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელს ნ. ალნიაშვილს, აძერბეიჯანის, სპარსეთის და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებს და ბათუმელ ქართველთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელს, რასაც მხურვალე ტაშის ცემით მიეგება კრება.

შემდეგი დეპეშები გაეგზავნა საქართველოს დამფუძნებელი კრების და მთავრობის თავმჯდომარეებს.

**საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს.**

სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის დედა-სამშობლო საქართველოს უზენაეს ნების გამომსახველ დამფუძნებელ კრებას და მისი სახით მთელ ქართველ ერს. ყრილობა გამოსთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ სამუსლიმანო საქართველო, უკუღმართ პირობების

# დღეს

ბოლშევიკების ცნობით მტერმა აიღო კიევის განაპირა უბნები. სამხრეთის მხრით ბრძოლა გრძელდება. ცარიცინის მიმართულებით საბჭოთა ჯარმა წინ წაიწია და დუბოვკა დაიკავა.

ბოლშევიკების ცნობით ჩერნოგორიაში რევოლიცია დაიწყო. ირლანდიაში ინგლისის საწინააღმდეგო გამოსვლები ხდება.

იტალიის პრესის ცნობით ჩერნოგორელებსა და სერბიელებს შორის ბრძოლაა.

---

გამო[ი] დღეს მოწყვეტილი თავის დედა-სამშობლოს, მალე შეუერთდება მას ფართო ავტონომიურ საფუძველზე. ერთობა ჩვენ განუყრელ ძმებთან, ქართველ ქრისტიანებთან, მათთან ჭირისა და ლხინის გაყოფა, მათთან სიცოცხლე, მათთან სიკვდილი—აი ყრილობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება. გაუმარჯოს ამ ერთობას! გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიას დედა სამშობლოს საქართველოს ფარგლებში.

ყრილობის თავმ. **მამედ-ბეგ აბაშიძე.**

— —

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.**

სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობა მოგესალმება თქვენ, ჩვენი საყვარელ დედა სამშობლოს მთავრობის თავმჯდომარეს. ყრილობას სწამს, რომ მალე ეღირსება ტანჯულ სამუსლიმანო საქართველოს, დღეს დედის ძუძუსაგან მოწყვეტილს, თავის სამშობლოსთან გაერთიანება ფართო ავტონომიურ საფუძველზე. ჩვენ სარწმუნოებით მუსლიმანებს დაეროვნებით ქართველებს, ვერავითარი შავი ძალა ვერ გამოგვთიშავს ჩვენ ძმებ ქართველ ქრისტიანებისაგან. ეროვნული მთლიანობა ქვაკუთხედია ჩვენი განვითარების, ჩვენი ძლიერებისა. ყრილობა ფიცს სდებს, რომ ის თავგამოდებით იბრძოლებს ამ იდეის განხორციელებისათვის და მას სწამს, რომ მთელი ქართველი ერი მასთანაა.

ყრილობის თავმჯდომარე **მემედ ბეგ აბაშიძე.**

———

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", სათაურით—„31 აგვისტო" შემდეგ წერილს უძღვნის ამ ისტორიულ ყრილობას:

„31 აგვისტო ისტორიული დღეა როგორც სამუსლიმანო საქართველოს, ისე მთელ საქართველოსათვის ამ დღეს ითქვა ის, რაც შეადგენს ყოველი მუსლიმანი ქართველის სათაყვანებელ საქმეს, მის წმიდათა-წმიდას. ითქვა სიტყვა, ითქვა გულის ნადები სამუსლიმანო საქართველოისა. და ითქვა არა ერთი და ორი პირისაგან, არა ერთი ორი საზოგადოებისაგან, არა მხოლოდ სამუსლიმანო საქართველოს რომელიმე ერთ და ორ კუთხისაგან, არამედ ხალხის წარმომადგენელ ყრილობისაგან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ეთქვა ის, რაც თქვა და რომელიც გამომსახველი იყო მთელი სამუსლიმანო საქართველოს ნება სურვილისა, მტკიცე ერთხელოვან გადაწყვეტილებისა.

ეს გადაწყვეტილებაა:

„ამიერიდან და სამარადისოთ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკის ფართე ავტონომიის ნიადაგზე".

„და სთქვა ეს იურიდიულმა ერთეულმა. სთქვა და ამით მოუღო ბოლო ჩვენი სამშობლოს მტრების ცრუ მტკიცებას, რომ ვითომ სამუსლიმანო საქართველო არ იზიარებდეს ჩვენი კომიტეტის მისწრაფებას. სთქვა და მით მტკიცე საფუძველი გასკვნა საქართველოს მთლიანობისა, სამუსლიმანო საქართველოს აღორძინებისა, გაძლიერებისა და გაბედნიერებისა.

„31 აგვისტო ბრწყინვალე დღეა სამუსლიმანო საქართველოისა. ის საუკეთესო და სათაყვანებელი დღეა ყველა ქართველისათვის. ის არის უბრწყინვალესი ფურცელი საქართველოს ისტორიისა. ის იქნება სადღესასწაულო დღე, როგორც სადღესასწაულო დღეა მთელი საქართველოსათვის დღე მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, დღე 26 მაისისა.

„ვულოცავთ ამ დღეს ჩვენ საყვარელ სამშობლოს.

„გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!

„გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიას დედა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში".

# უკანასკნელი ცნობები

**ქართველების მობილიზაცია ადერბეიჯანში.**

ბაქოში გამოცხადდა ქართველების მობილიზაცია. იწვევენ 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებულთ, რომლებიც ვალდებულნი არიან 8 სექტემბრამდე გამოცხადდენ საქართველოს საელჩოს ბინაზე.

**ბათუმის გარშემო.**

„ადერბეიჯან"-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „კერძო, მაგრამ ნამდვილ წყაროებიდან შევიტყვთ, რომ ბათუმს ინგლისელები დასცლიან სექტემბრის პირველ ნახევრამდე. ბათუმის ჩრდილო და აღმოსავლეთის საზღვრებთან სდგას 5 ათასი ქართველი ჯარისკაცი, რომელთაც განზრახვა აქვთ დაიკავონ ბათუმი ინგლისელების წასვლისთანავე. როგორც ხმები დადის სამხრეთ საზღვრებთან ოსმალთა ჯარები დგანან, რომელთაც აქვთ აგრეთვე განზრახვა ბათუმის დაპყრობისა".

**ადერბეიჯანის მთავრობა და გენ. ბარათოვი.**

ადერბეიჯანის მთავრობამ განუცხადა გენ. ბარათოვს, რომ ვიდრე მოხალისენი თავიანთ ჯარებს არ გაიყვანენ დაღესტანიდან, ყოველივე ლაპარაკი შეთანხმებაზე შეუძლებელია და ნიადაგს მოკლებულია. ამასთანავე განუცხადა, რომ საქართველოსთან შეუთანხმებლად, სეპარატიულად მოხალისეებთან არავითარი კავშირის დაჭერა არ შეგვიძლიაო.

**პოლკ. ჰასკელი და გენ. ბარათოვი.**

ბაქოში ალექსანდრე ნეველის საკრებულოში გენ. ბარათოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო პარიზის კონფერენციის უმაღლესმა კომისარმა პოლკ. ჰასკელმა გაუგზავნა კლემანსოსა და საზავო კონფერენციას დეპეში, სადაც აღნიშნავს მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლების არა კორექტიულ ყოფა-ქცევას კავკასიაში. („ზნ. ტრ.")

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 სექტემბერი.

**იტალიური პრესის ცნობები**

გიბრალტარში მოვიდა ამერიკის სამხედრო მისია, რომელიც სომხეთში მიემგზავრება იქაურ ცხოვრების პირობების გასაცნობად, იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელსაც ამერიკა იკისრებს, თუ ის დათანხმდა სომხეთის მანდატის მიღებაზე, რის წინადადებაც ამერიკამ ხალხთა ლიგისგან მიიღო.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩერნოგორიაში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა, ყველგან ბრძოლა ხდება სერბიელებთან: ჩერ. ნაგორიელებმა გადასჭრეს ვარბაზარ-ანტივარის რკინის გზა; ამ ნაირად ორივე მხარეს დიდი საფრთხე მოელის.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** სექტემ. 2. **სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი.** ჩვენმა ჯარმა სადგ. ემეცი დასტოვა. **დასავლეთის ფრონტი.** გდოვისკენ ვუტევთ. ბობრუისკთან მტერი მდ. ბერეზინას მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა. **სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.** მოწინააღმდეგემ აიღო კიევის განაპირა უბნები სამხრეთის მხრით. ბრძოლა გრძელდება. **სამხრეთის ფრონტი.** ჩვენმა ჯარმა პოვორინო-ლისკის რკინის გზის მთელი ხაზი აიღო და შეტევას განაგრძობს. ცარიცინის ჩრდილოეთით 110 ვერსის მანძილზე მდ. [illegible] ნაპირზე ჩვენმა ჯარმა დუბოვკა აიღო. მოწინააღმდეგე ცარიცინს [illegible] ფრონტი ჩვენმა ჯარმა ცარევი აიღო. ორსკისა და ორენბურგის რაიონში წინსვლას განვაგრძობთ და სოფლებს ვიღებთ. ორსკში 3000 ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვიაწამალი, ზარბაზნის ყუმბარები, ტყვიისმფრქვეველები და თოფები. დანარჩენ ნაწილებში შეტევას განვაგრძობთ. პეტრო პავლოვსკის მიმართულებით 1 ნახ. მილიონ ფუთზე მეტი პური ჩავიგდეთ ხელში.

**მოსკოვი.** სექ. 2. (დასაწყისი მიღებული არ არის). ენკენისთვის 1 პეტერბურგის საბჭოს სასწრაფო სხდომაზე ტროცკიმ ფრონტების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა. პეტერბ. საბჭო ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „მოვისმინეთ რა ტროცკის მოხსენება ფრონტების მდგომარეობის შესახებ, პეტერბურგის საბჭო ძმურად მიესალმება მუშათა და გლეხთა განმათავისუფლებელს და მთელი ქვეყნის რევოლიუციის საძირკველს, მამაც წითელ ჯარს. პეტერბურგის საბჭო იწონებს თავის წინადადებას, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ ესტლანდიის ეხლანდელ მთავრობას წარუდგინა. ამასთანავე პეტერბურგის საბჭო აცხადებს, რომ ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ჩვენ მზათ ვართ დავიცვათ წითელი პეტერბურგი. თუ ესტონიის და ფინეთის ბურჟუაზია, ინგლის საფრანგეთის იმპერიალისტების რჩევას გაჰყვა და პეტერბურგზე გაილაშქრა, მაშინ ჩვენ რეველის და ჰელსინგფორსის წინააღმდეგ გავილაშქრებდით, შეუერთდებით ესტლანდიის და ფინეთის მუშებს და არ შევჩერდებით, სანამ ფინეთის და ესტონიის ბურჟუაზიას სრულიად არ მოვსპობთ. **ჩელიაბინსკი.** აგვ 28. გამოქცეულთა სიტყვით, ომსკიდან კოლჩაკის ბანაკი და ყველა სამოქალაქო დაწესებულებები ირკუტსკში გადავიდა. ომსკი და ტომსკი სავსეა დაჭრილებით. არ არის საკმარისი მედიკამენტები.

**ლონდონი,** აგვ. 28. მთელ ჩერნოგორიას რევოლიუციონური მოძრაობა მოედო. იარაღს მოჰკიდეს ყველგან ხელი. სერბიელები ამაოდ ცდილობენ ხალხის აჯანყების ჩაქრობას. ჩერნოგორიელებმა ვირბახორსა და ქალ. ანტივარის შუა რკინის გზა დაიჭირეს.

# ახალი ამბები

**დღეს, სალ. 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

**✦ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის**

---

# ერობათა ცენტრი

(დასასრული)

საგნის ნათელ საყოფად საჭიროა ფინანსების და თვით დაბეგვრის საკითხის გარკვევაც.

ადგილობრივ თვითმმართველობათა საფინანსო ოპერაციების კონტროლი არის ნაწილად-ადმინისტრატიული, ნაწილად საკანონმდებლო. საკანონმდებლო წესით ინგლისში იფარგლება ის საგნები, რომლებზედაც უნდა დაიხარჯოს ადგილობრივი საშუალებანი. ასე თუ ისე ის ხშირად უდებს საზღვარს, როგორც თვით დაბეგვრის ზრდას, ისე დავალიანებას. ცენტრალური ადმინისტრატიული ორგანოების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თვალ ყური ადევნოს, რათა ადგილობრივი ფულები არ იხარჯებოდეს ისეთ რამეებზე, კანონს რომ ეწინააღმდეგება.—უკანონო ხარჯების გამომჟღავნება ეკისრება მოანგარიშე მოხელეთ, რომელთაც ეძლევათ უფლება არ დაამტკიცონ ასეთი ხარჯები და საჭიროების მიხედვით კიდევაც შეუძლიათ ისეთი ხარჯები გადაახდევინონ იმ დაწესებულებების წევრებს, რომლებმაც გასწიეს ეს უკანონო ხარჯები. როგორც ინგლისის გამოცდილებამ დაამტკიცა, ამ წესსაც აქვს თავისი ნაკლი. ჯერ ერთი, მოხელეს ხშირად ეპარება უკანონო გასავლების სტატიები—მეორე, ანგარიშების განხილვა კი არ ამჟღავნებს ბოროტმოქმედებას წინდაწინ, რომ არ მოხდეს ის.—გაცილებით უკეთესი იქნებოდა ანგარიშების შემოწმება რომ მომხდარიყო არა მარტო უკანონო ხარჯების მოსანახავად, არამედ—დაწესებულების მთელი ფინანსიური მდგომარეობის გამოსარკვევათ.

ქალაქის თვითმმართველობათა ანგარიშები ინგლისში თავისუფალი არიან ასეთი კონტროლისაგან; ამას იხილავს ხალხისაგან არჩეული სამი პირი (ერთს ირჩევს ქალაქის თავი, ორს მცხოვრებნი). ამ კომისიის უფლება ძლიერ ვიწროა, მას აქვს უფლება მხოლოდ მიუთითოს უკანონო ხარჯზე და მეტი არაფერი.

საფრანგეთში და პრუსიაში ბიუჯეტს ადგენენ ყოველი წლის თავში და უდგენენ მას განსახილველად და დასამტკიცებლად პრეფექტს ან შინაგან საქმეთა მინისტრს. დიდ სატახტო ქალაქებში ბიუჯეტს ამტკიცებს მინისტრი. ამ პირთ შეუძლიათ წინდაწინ გამორიცხონ ყველა არა სასურველი ხარჯები და ამიტომ ამ ქვეყნებში ანგარიშების განხილვას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს

რუსეთის ერობაც წინდაწინ შედგენილ ბიუჯეტს უდგენდა დასამტკიცებლად საგუბერნიო საერობო საკრებულოს, რომელიც, თუ ცვლილების მოხდენას მოისურვებდა თავისის შესწორებით, ისევ უკან უბრუნებდა ერობას, რომელიც ამ ცვლილებასთან შეთანხმებით ასწორებდა თავის ბიუჯეტს.

თვით დაბეგვრის უფლება კიდევ უფრო შეზღუდულია ინგლისის კანონმდებლობით. საზოგადო საჭიროებისათვის გადასახადის დაწესება სამრევლო საბჭოს არ შეუძლია სამპენსის ზევით ფირვანქიდან, თუ ნება არ დართო სამრევლო კრებამ. და ამ კრებასაც არ აქვს უფლება ექვს პენსზე ზევით დაბეგვრისა. ასევე შევიწროებულია სესხის აღების საქმე. მზრუნველთა ბიუროს არ შეუძლია აიღოს სესხი იმ ზომაზე მეტი, რომელიც შეადგენს დასაბეგრავი შემოსავლის მეოთხედ ნაწილს. საგრაფო საბჭოს სესხი, საერთო საჭიროებით გამოწვეული, არ უნდა აღემატებოდეს იმ შემოსავლის ერთ მეათედს, რომელიც უნდა დაიბეგროს (ამ ნორმის გადიდება შეიძლება საკანონმდებლო წესით). პრუსიაში ქალაქის საბჭოს შეუძლია დააწესოს საერთო საჭიროებისათვის მხოლოდ ორი პროცენტი შემოსავლის კვალობაზე გაწერილ საერთო სახელმწიფო გადასახადისა. საფრანგეთში სესხს ზღვარს უდებენ ბიუჯეტის განხილვის დროს. ყველა ქვეყნებზე უფრო მეტი შევიწროება გადასახადების დაწესებისა და თვით დაბეგვრის საქმეში ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1889 წ. ქალ. ვაშინგტონში გამოიცა შემდეგი კანონი: არც საგრაფოს, არც ქალაქს, არც სასკოლო ოლქს, არც სხვა მუნიციპალურ კორპორაციას არავითარი მიზნით არ შეუძლია თავის თავის დაბეგვრა საგრაფოში, ქალაქის და კორპორაციის საზღვრებში არსებულ დასაბეგრავ ქონებათა მთელი ღირებულების ერთ ნახ. პროცენტზე მეტით. ეს რაოდენობა შეიძლება 5 პროც. ავიდეს, თუ ამას მოისურვებს ამრჩეველთა სამი მეხუთედი ნაწილი.

ინგლისში ყველა სესხმა, რომელიც განსაზღვრულია კანონის ძალით, უნდა მიიღოს სანქცია ადგილობრივ მმართველობის სამინისტროდან, რომელსაც უფლება აქვს, როგორც სესხის ნებართვის, ისე ამ სესხის აღების და გასტუმრების პირობათა შეცვლისა. პარლამენტის კანონით სესხის უმაღლეს ვადათ აღიარებულია 60 წელი, და 80 წ. შენობათა პროექტებისათვის, მაგრამ სამინისტროები ჩვეულებრივათ ამოკლებენ ამ ვადას. ასეთი ადმინისტრატიული ზომა, რამდენიმეთ საზღვრავს საკანონმდებლო უფლებას ამ სფეროში კანონის პრაქტიკული განხორციელების დროს,

კონტინენტალურ ქვეყნებში ყველა სესხი უნდა დაამტკიცოს მეთვალ ყურე ადმინისტრაციამ. სპეციალური კანონმდებლობა ამ საგანზე არ არის, ამიტომ აქ ადმინისტრატიული გავლენა ზედმეტი და უფრო შემავიწროებელია ინგლისთან შედარებით.

ერთი შეხედვით ზოგს კიდევაც გაუკვირდება დემოკრატიული ქვეყნების კანონდებულება თვით დაბეგვრის შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართული, იფიქრებს: თუ ხალხს სურს, თავის დაბეგვრა, მთავრობა რათ უნდა უკრძალავდეს ამასო, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება. თვით დაბეგვრას, უეჭველია, ჩვენშიაც უნდა მიექცეს ყურადღება. არ იქნება მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის ყველა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, რომ მიენიჭოს თვით დაბეგვრის განუსაზღვრელი უფლება, რადგანაც ამას შეიძლება მოჰყვეს გადამხდელისა და გადასახადის დასუსტება. ვსთქვათ, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს 1000 მანეთი წლიური შემოსავალი და მას შეუძლია მისცეს სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანიზაციას შემოსავლის ასის თავი, ანუ 10 მანეთი. დაუშვათ, რომ ადგილობრივი საჭიროებისათვის თვითმმართველ ორგანიზაციამ ის დაბეგრა ამა თუ იმ სახით ხუთი მანეთით, მაშინ ამ გადამხდელის ბიუჯეტიდან სახელმწიფოს დარჩება ხუთი მანეთი, მაშინ როდესაც სახელმწიფოს საჭიროება მრავალ გზით აღემატება ადგილობრივ საჭიროებას და ნაციონალური თვალსაზრისითაც მისი ინტერესები უფრო უმაღლესი და ქვეყნისთვის საჭიროა. ამ რაიონების ფარგლებში რამდენადაც გაიზრდება ადგილობრივი გადასახადი, იმდენად უნდა შესუსტდეს ზრდა სახელმწიფო გადასახადისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თან და თან დაასუსტებს და ბოლოს სრულებით ჩაკლავს რესპუბლიკის მოქალაქის საწარმოვო ძალას, რაც ორთავე ამ დაწესებულებებს წაიყვანს დაღუპვისაკენ.

როგორც წინათაც მოვიხსენიეთ, ჩვენ მიტომ შევჩერდით ამდენ ხანს და მოვიყვანეთ სქემატიური ცნობები ევროპის პრაქტიკიდან, რომ ნათლად დაგვესურათებია, თუ რა ძაფებით არიან გადაბმული ადგილობრივი თვითმართველობანი ცენტრალურ მთავრობასთან ჩვენზე დაწინაურებულ ქვეყნებში. კონტროლის საკითხი მუდამ მწვავეთ იდგა, როგორც ჩვენში და რუსეთში, ისე ევროპაშიაც. ჩვენ შემთხვევა გვქონდა დავსწრებოდით იმ პროექტის შემუშავებას, რომელიც დაამზადა ნიკო ნიკოლაძემ ქუთაისის საერობო თათბირისათვის.

ნიკოლაძე ევროპის მაგალითით გვიმტკიცებდა კონტროლის აუცილებლობას ჩვენი ქვეყნის ერობათათვის. ჩვენ მაშინ წინააღმდეგი ვიყავით ამისი და უმთავრესათ მით ვასაბუთებდით ჩვენს აზრს, რომ თვითმპყრობელობის „აპეკა" ერობის მოღვაწეობას სრულებით შებორკავდა. მაშინ არამც თუ არ ვენდობოდით ცენტრალურ მთავრობას, კიდევაც ვებრძოდით მას და ერობა ერთ საბრძოლველ იარაღათ გვინდოდა გამოგვეყენებია. ასე იყო ევროპაშიც; ამიტომ კონტროლის საკითხი აქაც და იქაც უფლების საკითხი იყო, დღეს კი არ შეიძლება ასე საკითხის დაყენება. დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა არის ხალხის ნდობით

წარმომადგენლები დღეს, 4 სექტემბერს ჩამოვლენ თფილისში ბათუმიდან.

**დეპუტაცია ზემო-აჭარიდან.** დღეს, 4 სექტემბერს ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით ზემო აჭარიდან თფილისში ჩამოვა 12 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ.

**თფ. პროფ. კავშირთა საბჭო** აცხადებს, რომ თანახმად საბჭოს სეკრეტარიატის ცირკულიარისა, ფრონტის ფონდის გასაძლიერებლათ მუშა მოსამსახურეთა მიერ 31 აგვისტოს გადადებული ხელფასი მიიღება საბჭოს კანცელარიაში, რომელიც არის მოთავსებული ელისაბედის ქუჩაზე ყოფილ სასტუმრო „ბოn-მონდის" შენობაში. ფულის მიღება სწარმოებს ყოველ დღე გარდა უქმე დღისა დილის 10—1 ს. საჭიროა, რომ ფულის გამღებთა სია ხელმოწერილი იყოს წარმოების ადმინისტრაციის და ქარხნის კომიტეტის მიერ.

**საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი** სთხოვს იმ ამხანაგებს და დაწესებულებებს, რომლებმაც ფრონტის დღეს, 31 აგვისტოს, თავს იდევს და გასავრცელებლად წაიღეს ჟურნალი „მუშათა ცხოვრება" (№7) დაჩქარებით წარმოადგინონ ანგარიშები. „ბო მონდი" ოთახი № 22.

**სამტრედიაში** წ. ქ. გ. ს. წიგნის მაღაზიამ განაახლა ყველა ჟურნალ-გაზეთების მიღება.

**ნაძალადევის მუშათა კლუბი.** ხუთშაბათს, 4 სექ. ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება 1) „ბაიყუში", 2) „დატრიალდა ჯარა", 3) „ტიმოთეს ლეღვი". ფასები სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**გენერალი ხორბორდი.** 27 აგვისტოს, სტამბოლში ჩამოვიდა ამერიკის მისია გენ. ხორბორდის თავმჯდომარეობით. მისიას დავალებული აქვს გაეცნოს სომხეთის ეხლანდელ მდგომარეობას და გამოარკვიოს—რამდენად შესაძლებელია ამერიკისთვის სომხეთის მანდატის მიღება.

ქ რ ო ნ ი კ ა.

დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს სოც. დემ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. პრეზიდიუმის წევრები უნდა გამოცხადდენ საღამოს 5 ს.

— ხუთშაბათს, 4 სექტემბერს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა (კახეთის ქ. № 1)

## პროვინციის ქრონიკა.

**სამტრედია.** 27 აგვისტოს სამტრ. რკ. გზის სასწავლებლის შენობაში შესდგა ჩვეულებრივი ძირითად დეპოს იაჩეიკის კრება, სადაც დამფ. კრ. წევრმა პ. წულაიამ გააკეთა მოხსენება თანამედროვე მომენტზე და დამფ. კრების მუშაობაზე. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო ერთხმათ რეზოლიუცია, რომლითაც მოიწონეს დამფ. კრების მუშაობა და აღუთქვეს დამფ. კრებას და მთავრობას მომავალშიაც მხარის დაჭერა ყოველივე ნაბიჯებში დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

## ოზურგეთის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ყრილობის გამო.

17 აგვისტოს, სამაზრო ცენტრის ინიციატივით მოხდა მთელი მაზრის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის საგანს შეადგენდა: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონგრესზე დასასწრებათ დელეგატების არჩევა, მასწავლებელთა კავშირის სტრუქტურის შეცვლა, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიების გამონახვა და სხვა. მე აქ, გარდა უკანასკნელი საკითხისა, არც ერთ მხარეს ყრილობისას არ შევეხები. მასწავლებლობა რომ უკიდურეს, და მეტიც, აუტანელ მდგომარეობაშია, ამას ცხად ყოფენ თუნდ მარტო ის ფაქტები, რომლებიც ზოგიერთმა ამხანაგებმა გადაშალეს ყრილობის წინაშე: 20 წ. რევოლიუციონერი მასწავლებელი, რომელიც ვერ გასტეხა ნიკოლოზის ჟანდარმების მათრახებმა, ციმბირის სუსხიანმა ყინვებმა, დღეს წელში მოხარა შიმშილმა და გაფიცვის მეთაურად გამოდის, გაფიცვის მეთაურად გამოდის იმ მთავრობისა და ხალხის წ ნააღმდეგ, რომელთა შექმნის და გათვითცნობიერების საქმეში მას, თამამად ვიტყვი, ყველაზე მეტი წილი მიუძღვის; წვრილი შვილების პატრონი მასწავლებელი იძულებულია თავისავე მოწაფიდან ფული ისესხოს, ბევრია სხვა ფაქტებიც, რომლებიც ცხად ყოფენ მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობას. მასწავლებლობა სასირცხო „ხელობათ" გადაიქცა, ამბობს ერთი ძველი მასწავლებელი; რომ შიმშილი თავიდან აიცილოს, ვარგებული მასწავლებლები სამსახურიდან გარბიან, აღნიშნავენ მეორენი; თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, ჩვენც იძულებული ვიქნებით სამსახურს თავი გავანებოთ, ამბობენ მესამენი—გამოცდილი მასწავლებლები. მართლაც დიდათ დამაფიქრებელი მდგომარეობაა შექმნილი: სწავლის წყურვილი ხალხში დიდია, სკოლები სოკოსავით მრავლდება, მასწავლებელთა კადრი საკმაო არაა, ვარგისი მასწავლებლობა, რომ შიმშილი აიცდინოს, სამსახურს გაურბის, ცხოვრებისა და ხალხის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებების პასუხის გაცემა მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას არ ძალუძს: ცხოვრებამ მასწავლებელთა უმრავლესობას გაასწრო. თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ჩვენი გაეროვნებული სკოლა, ცხადია, თავის გზას ასცდება, ვინ გინდათ, რომ დღეს მასწავლებელი არ იყოს. ასეთი მდგომარეობა რომ ნაწილად მაინც შემცირდეს, ამავე ყრილობაზე ძველი მასწავლებლების ერთმა ნაწილმა საშუალებად სამსახურიდან გასვლა გამოიგონა. ასეთი მიმდინარეობა სერიოზულად ფეხს იკიდებს; შეიძლება ახლო მომავალში ეს ფაქტადაც იქცეს და სკოლას სრულიად მოსცილდეს, ისედაც მცირედი, ვარგისი მასწავლებლები. ჩემი შეხედულობით ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. გერმანიაში ერთ დროს ჯარისკაცები მასწავლებლობდენ; ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ამასთან, ცხადია სკოლების ხელმძღვანელები ამას თავად კარგათ გრძნობენ, საშუალებას ისინიც ეძებენ. მაგრამ მაწსავლებლობამაც უნდა მონახოს თავის მხრივ. სკოლების ყოველ მხრივ ნორმალურ პირობებში ჩაყენება დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის საერთო მდგომარეობაზე. ცხადია ისიც, რომ მასწავლებლების ნივთიერად უზრუნველ ყოფას დიდი კავშირი აქვს საზოგადოთ სწავლა-აღზრდის წარმატებასთან და, ამ შემთხვევაში, მისი შემადგენლობის (მასწავლებლობის) გაჯანსაღებასაც. სანამ არსებულ საერთო პირობებთან გვაქვს საქმე მასწავლებლის ამ მხრივ სრული უზრუნველყოფა ოცნებად დარჩება, მაგრამ ეს მდგომარეობა იმდენათ მაინც უნდა გაუმჯობესდეს, რომ მასწავლებლის ყოველ დღიური ზრუნვა და ფიქრი მარტო ლუკმა პურისაკენ არ იყოს მიპყრობილი; ამისათვის საჭიროა ამას, ვისგანაც ჯერ არს, ეხლავე მიექცეს სათანადო ყურადღება. ეს, სხვათა შორის, ერთი საუკეთესო საშვალებათაგანი იქნება, რომ გაქცეული მასწავლებელი თავის ადგილს დაუბრუნდეს, ყოფილები არ გაიქცენ და ამით მასწავლებელთა შემადგენლობის გაჯანსაღებასაც ხელი შევუწყოთ. ამ შემთხვევაშიაც ვერ შევქმნით, ცხადია, იდეალურ მდგომარეობას, მაგრამ უკეთესია ასეთი „გამვლელები", ცარჩეს ცოტა, ვიდრე უმრავლესობა.

ამ გვარად, როცა შრომა-ში ... საზღვრებში, დაფასებული ... თი მასწავლებელი, დრომდე, ... ლებასაც მოჰკიდებს ხელს, რაც გამოიწვევს საერთო რიცხვის შემცირებას და საშუალებას მოგვცემს მსგავსი პირებისაგან სკოლების განთავისუფლებისას. საჭიროა საზოგადოებამ, პრესამ და დამფუძნებელმა კრებამ ყურადღება მიაქციოს სკოლებისა და მასწავლებლების ასეთ მდგომარეობას.

რ—ელ აცანელი.

# ს.-დ. პარტიაში

**ქ. სამტრედია.** 29 აგვისტოს შესდგა სამტრედიის კოლექტივის მორიგი სხდომა, გააკეთეს მოხსენებები იაჩეიკებიდან. აღსანიშნავია დეპოს ორგანიზაციის წარმომადგენლის ქ. ჩაჩუას მოხსენება, რომელმაც მოახსენა სხდომას, რომ ორგანიზაციაში მიიღეს დადგენილება: ყოველ კრების დროს დღიურ წესრიგის განხილვამდე, აწარმოვონ იდეიური მუშაობა. ამ მიზნით მოწვეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრი ილია კოპალეიშვილი, რომელმაც ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტზე. ამ ქამათ ორგანიზაციაში სისტემატიურათ მუშაობას აწარმოებს ამხ. გიორგი დუნდუა, რომელმაც უკვე წაიკითხა პირველი ლექცია „დემოკრატია და პარლამენტი", რამაც კრება დიდათ დააკმაყოფილა.

დაადგინეს რაიონულ წევრების არჩევნები მოხდეს 7 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ევალება ყველა წარმომადგენლებს მეტი პარტიის წევრები დაასწრონ კრებას.

კოლექტივი ავალებს ბიუროს, რათა მან მოიწვიოს შეერთებული ორგანიზაციათა კრებები, სადაც დამფ კრების წევრი გააკეთებს ვრცელ მოხსენებას დამფუძნებელ კრების მუშაობაზე.

დასასრულ არჩეულ იქნა: 1) სარევიზიო კომისიაში: მიხეილ შენგელია, მოსე ბერძენიშვილი და ისიდორე ქურციკიძე. 2) პარტიულ სასამართლოს წევრებათ: სევერიანე ხვიჩია, გიორგი დუნდუა და დავით მიქელაძე. 3) საგამომძიებლო კომისიის წევრებათ: გიგო შენგელია, კოსტა ჩაჩუა და აპოლონ კანდელაკი.

დ. ლევანიძე.

———

სამტრედიაში, პარტიულ კლუბში, დანიშნულია საკოლექტივოს პარტიის წევრთა კრე-

---

ღჭურვილი და მისი ნების გამომხატველი, არჩეულია ოთხ ფორმულიანი არჩევნებით და არჩეულია, სწორეთ იმიტომ, რომ საერთო სახელმწიფო ინტერესებით ხელმძღვანელობდეს ყველა თავის აღმშენებლობაში. დღეს კანტროლის საკითხი უნდა დაისვას არა უფლების ნიადაგზე (უფლებამოსილება ამ სფეროში მხოლოდ გამოხატულება იქნება ცენტრის და ადგილობრივ თვითმართველობების საქმეში), არამედ შრომის და პასუხისგების განაწილების ნიადაგზე. ეკონომიურ და კულტურულ საქმეებში ერობას უნდა მიეცეს რაც შეიძლება ფართე უფლებები. ადმინისტრატიულ-ფინანსიური მხარე კი უნდა იყოს გაცხრილული სახელმწიფოებრივობის წერტილიდან. ამ სფეროშია სწორეთ საჭირო შრომის, ვალდებულების და პასუხისგების განაწილება ისე, რომ დაცული იყოს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელსაც უსათუოდ უნდა დაემორჩილოს ადგილობრივი ინტერესები.

ყველა ეს მხარეები გარკვეული იქნება საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოცემულ საერთო დებულებაში, რომელმაც ადგილობრივ თვითმართველობათა და ცენტრისაგან უნდა შექმნას ერთი მტკიცე სახელმწიფო ორგანიზმი.

რა უნდა აკეთოს ამ პირობებში ერობათა ცენტრალურმა კავშირმა?

ეჭვი არ არის, ეს ცენტრი იქნება არჩეული ერობათა ხმოსნებისაგან და როგორც ასეთის, ე. ი. ნდობით აღჭურვილ ორგანოს არსებობა სხვა არა დემოკრატიული წესით არჩეულ მთავრობასთან სასურველიც იქნებოდა, როგორც ამ ორგანოთა ერთნაირი დაპირდაპირება. დღევანდელ პირობებში კი ასეთი ცენტრი იქნება სახელმწიფოში სრულიად უმიზნოთ გაჩენილი და რა სახელიც არ უნდა დაერქვას მას, ის მაინც მავნებელი იქნება როგორც ჩვენი სახელმწიფოსთვის, ისე ერობათათვის.

ცენტრის დაარსების აუცილებლობას ერთნი ასაბუთებენ იმით, თითქოს დღევანდელი მთავრობა ვერ უძლევნოდეს ერობებს, აგვიანებდეს საქმის წარმოებას, არ აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას ერობათა შუამდგომლობებს და საერთოდ ადგილობრივ თვითმართველობასთან თავის დამოკიდებულებაში იჩენდეს ის, ასე ვსთქვათ, ცენტრმპყრობელობას. მეორენი კი, თუმცა არ სცნობენ მიზან შეწონილათ ერობათა ცენტრის პოლიტიკური მიზნით დაარსებას ჩვენი მთავრობის გვერდით, ისინი მაინც სცნობენ ასეთი ცენტრის აუცილებლობას უმთავრესად ერობათა ეკონომიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ.

პირველ მოსაზრებაში შეიძლება ბევრი სიმართლეც იყოს, შეიძლება ჩვენი ცენტრალური მთავრობა მართლაც ვერ აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას ერობათა საჭიროებებს, აგვიანებდეს მიწერ-მოწერას და თავის დამოკიდებულებაშიც იჩენდეს ერთნაირ ცენტრალურ პატრიოტიზმს, მაგრამ ნუ თუ ამის გასწორება შეუძლია ერობათა ცენტრს. ჩვენი დღევანდელი ერობა ხომ მართველობის და თვითმართველობის დაწესებულებაა, ე. ი. ის მთავრობის აპარატია და ვინ არის იმის თავმდები, რომ ერობის ცენტრს იგივე ნაკლი, რასაც მთავრობას უკიჟინებენ არ დასჩემდება. ჩაიხედონ თავიანთ გულში სამაზრო ერობათა მესვეურებმა და სთქვან გულახდილათ: განა სწორეთ ამდენივე ცოდვაში არ ამხელენ მათ თემები, სადაც ესენი მოწყობილია? განა წვრილი ერთეულები ცოტას ჩივიან სამაზრო ერობები არ გვპატრონობენო, საქმეს გვიგვიანებენ, საჭირო დახმარებას არ გვიწევენ, რასაც ცენტრალური მთავრობიდან მიიღებენ სულ თავათ სამაზრო ცენტრში ისაკუთრებენ, ჩვენ კი პირლია გვტოვებენო? ოღონდაც რომ მოისმის ასეთი საყვედური და, კიდევ უფრო უარესები, მაგრამ ნუ თუ ამ საქმეს სამაზრო ერობის გვერდით თემთა კავშირის დაარსება გამოასწორებს?! მე ვეჭვობ, მაზრის ცენტრალისტები, რომლებიც რესპუბლიკის ცენტრში დეცენტრალისტობას იჩენენ, ერთი წუთით მაინც დათანხმდნენ სამაზრო ერობის გვერდით თემთა კავშირის დაარსებას. იმ ნაკლთა დიდი ნაწილი, რომელსაც აწერენ ცენტრალურ მთავრობას, საერთო პირობების შედეგია და უეჭველია ის დღევანდელი ვითარების ძალით თან დასდევს, როგორც ცენტრალურ მთავრობას სამაზრო ერობებთან დამოკიდებულებაში, ისე სამაზრო ერობებს თემებთან დამოკიდებულებაში. მაგრამ ამ ნაკლის გასწორება შეიძლება მხოლოდ თანდათანობით ერობათა კომპეტენციის და მისი ცენტრალურ მთავრობასთან მართველობის და თვითმართველობის ნიადაგზე ურთიერთულ უფლებრივ დამოკიდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით და ამ მიზნით, რომ ჩვენი ცენტრალური მთავრობის გვერდით ერობათა ცენტრი გავიჩინოთ, ეს ცენტრი თავისი მდგომარეობით დაუპირდაპირდება მთავრობის ორგანიზაციებს, ზედმიწევნით დაასუსტებს მის მოქმედებას და მით თვით ერობას დააზარალებს სარგებლობის მოტანის მაგიერ.

რაც შეეხება ეკონომიური მიზნით ცენტრის გაჩენას, არც ეს უნდა ჩაითვალოს მიზან შეწონილათ, რადგანაც ყოველგვარი ეკონომიური საქმიანობა მოითხოვს საჯარო ხასიათის უფლებებს, რომელიც იურიდიულ ნორმებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ამიტომ თუნდაც ამ ეკონომიური საქმიანობის ნიადაგზე აუცილებლათ ატყდება ერობათა ცენტრსა და ცენტრალურ მთავრობის შუა დავა და ჭიდილი, რაც ფაქტიურათ იმავე შედეგს მოგვცემს, რაც უნდა მივიღოთ პირველ შემთხვევაში.

ეკონომიურ ნიადაგზე ერობათა შეკავშირება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული მიზნით, ამისათვის საგანგებოთ არჩეულ ორგანოს საშუალებით, რომელსაც არავითარი კავშირი არ უნდა ქონდეს მართვისა და თვითმართვის საქმეებთან.

ზემოხსენებულიდან გამომდინარეობენ შემდეგი დებულებანი:

1) არსად, არც ერთს ქვეყანაში, არ არის ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, როგორსაც წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

2) ყველა ქვეყნებში უფრესად დემოკრატიულ ინგლისშიაც, ცენტრის დამოკიდებულება ადგილობრივ თვითმართველობებთან წარმოადგენს უფრო ერთი მეორესთან დაპირდაპირებას უფლების ნიადაგზე, ვიდრე მათს გაერთიანებას უმაღლესი სახელმწიფო მიზნებით.

3) არსად, არც ერთს სახელმწიფოში, თვითმართველობას არ ქონდა დაკისრებული ის სახელმწიფო ფუნქციები, რომლებიც უნდა დაეკისროს მას, როგორც სახელმწიფო აპარატს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

4) საქართველოს ერობაზე, როგორც სახელმწიფო აპარატზე, უნდა უეჭველათ არსებობდეს რესპუბლიკის მთავრობის კანტროლი, როგორც ადმინისტრატიული, ისე ფინანსიური და ის უნდა იხატებოდეს არა ცენტრის ადგილობრივ თვითმართველობებთან დაპირდაპირებაში უფლება მოსილების ნიადაგზე, არამედ შრომის და პასუხისგების განაწილებაში უმაღლეს სახელმწიფოებრივი მიზნით.

5) ადგილობრივი ერობა და თვითმართველობანი უნდა დაუქვემდებარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დეპარტამენტს ამ პირველ ხანებში მაინც, რომელიც შემდეგ შეიძლება გადაკეთდეს ადგილობრივი მართველობის სამინისტროთ.

6) სხვადასხვა რთული საკითხების შესასწავლათ და დასამუშავებლათ, მთავრობასთან უნდა შედგეს რჩევები მცოდნე და დახელოვნებულ პირთაგან, რომლებიც ყოველ მხრივ დაამუშავებენ საკითხს და დაეხმარებიან მთავრობას რთული საქმეების წარმოებაში.

7) ასეთს პირობებში საქართველოს რესპუბლიკის ერობათა ცენტრალური კავშირის დაარსება უნდა ჩაითვალოს არა მიზან შეწონილათ და რამდენიმეთ მავნებლათაც.

8) უკიდურეს შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ერობათა ისეთი ცენტრი, რომელიც იკისრებს ერობათა წარმომადგენლობას და მათ ინტერესებზე ზრუნვას კონკრეტულ შემთხვევებში როგორც მთავრობის, ისე სხვა ორგანიზაციების წინაშე.

ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანი

ვიქ ლლონტი.

ბა კვირას, 7 ენკენისთვეს, დილის 10 ს. აარჩევია რაიონული კომიტეტის წევრები.

კოლექტივის ბიურო.

# მუშათა შორის

**შრომის ბირჟის მუშაობა.**

ივლისის განმავლობაში შრომის ბირჟაში ჩაწერილა 916 უმუშევარი, აქედან 590 მამაკაცი და 326 დედაკაცი. შრომის ბირჟამ შესძლო სამუშაოს აღმოჩენა მხოლოდ 57 უმუშევართათვის, ე. ი. ივლისის განმავლობაში ჩაწერილ უმუშევართა 6,2% ისთვის. უმუშევართაგან სამუშაოს შოულობენ პირველ რიგში არა ხელოსანი მუშები, მათ შემდეგ ხელოსანი მუშები და უკანასკნელი ადგილი უჭირავთ ინტელიგენტ უმუშევრებს, რომლებიც იძულებული არიან დაიჭირონ სამსახური არა თავის პროფესიის მიხედვით.

ივლისის განმავლობაში უფასო სარჩოებით ისარგებლა 2994 უმუშევარმა. სახსრის უქონლობის გამო პური ეძლეოდა ამ თვის განმავლობაში მხოლოდ 672 უმუშევარს შაქარი კი ყველას. სარჩოს შენახვა დაჯდა 3413 მან. 16 კ.

წიგნების საკაზმავ სახელოსნოს მუშაობის საქმე კარგად მიდის. შემოსავალი 8.333 მან. გასავალი მასალაზე—1345 მ. 69 კ. მუშაობის ხელფასათ მიეცა 5,324 მან. 71 კაპ. შრომის ბირჟას მიეცა 20% მთელი შემოსავლიდან—1,667 მან. 60 კ. თითეულ ამკინძველს ერგო ივლისში 1 300 მანეთამდე.

---

**თფილისი** შაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე თფილისის საქონლის სადგურის შენობაში შესდგება ს. ს. დემოკრატ. მუშების და მოსამსახურეების შეერთებული კრება. მოხსენებას გააკეთებს პარტიის თავმჯდომარის ამხანაგი გ. ცინცაძე. მოხსენება იქნება აგრეთვე სარევიზიო კომისიის. სთხოვენ პარტიის წევრებს აუცილებლათ გამოცხადდენ დანიშნულ დროზედ.

პარტიული კრების მომწვევი **კომისია.**

---

**სალამი გვარდიას.**

ავჭალის, გლდანის, მამკოდის და წყალსადენის ახალად შემდგარი გვარდია, სალამს უძღვნის ფრონტზე მყოფ ამხანაგ გვარდიელებს და მათთან ერთად მებრძოლ ჯარს. ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ თქვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დარჩებით დარაჯათ ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის და დაიცავთ მუშათა კლასის ინტერესებს. ჩვენ ყველანი პირველ დაძახებისთანავე თქვენთან ვართ და თავისუფლების მტრებს მედგრათ შევებრძოლებით.

ავჭალის სახალხო გვარდიის 1 ლი რაიონის რწმუნებული **ნიკოლოზი ერგემლიძე.**

# პროვინცია

**ქ. ზუგდიდი.** 22 აგვისტოს მოხდა დიდი შემაძრწუნებელი ამბავი. ს. ჭით-წყალში, ზუგდიდიდან მეხუთე ვერსზე დღის 11 საათზე ყაჩაღებმა გაძარცვეს დილიჟანი. ცნობის მოსვლისთანავე დაედევნა ყაჩაღებს მაზრის მილიცია. მილიცია სამ ჯგუფად დაიყო. ერთს ხელმძღვანელობდა მაზრის კომისარის თანაშემწე ვანიჩკა კეშელავა, მეორეს რაიონის კომისარი ი. ხუბუტია, მესამეს ასის თავი გ. ბეშია. დღის 4 საათზე კეშელავა სამი მილიციონერით წააწყდა ჩასაფრებულ მტერს. ყაჩაღებმა მათ სროლა აუტეხეს. მოკლულ იქნა მილიციის უფროსის თანაშემწე ქეშელავა და დაიჭრა ორი მილიციონერი. ყაჩაღები გაიქცნენ ტყე ჭაობიან ადგილით. მათ დაედევნენ დანარჩენი ჯგუფები მილიციისა, ალყა შემოარტყეს და აუტეხეს სროლა. ყაჩაღები დაბურულ ტყეში იმყოფებოდენ, მათი დანახვა შეუძლებელი იყო. და ეს იყო მიზეზი, რომ მათი დაჭერა ვერ მოხერხდა. მთელი სამი დღე განტანა მათი დევნამ ამაოდ. მხოლოდ მეოთხე დღეს დაბრუნდა მილიცია და გვარდია მაზრის კომისარი ბაძალუას ხელმძღვანელობით და ჩამოიყვანეს 30-მდე საეჭვო პირები, ე. ი. ისეთები, რომელთაც იცოდენ ყაჩაღების ვინაობა და მათი ბინა. საეჭვო პირების წყალობით იმ წამსვე აღმოაჩინეს მკვლელები, რომლებიც შეიპყრეს და ჩამოიყვანეს ზუგდიდში.

მოკლული ქეშელავა წელიწადზე მეტია რაც მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწედ ითვლებოდა. ის იყო ესფერების პარტიის წევრი. ერთგული და მხნე მუშაკთაგანი იყო, ის რევოლიუციის განთიადიდანვე ჩაება საქმეში. უკანასკნელ წუთამდე რევოლიუციონერი დარჩა. მან არ იცოდა, თუ რა იყო შიში.

ვის არ ახსოვს მისი გმირული ქცევანი სამეგრელოში ანარქიის დროს 1918 წ. ის ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იარაღით ხელში ომი გამოუცხადა ავაზაკებს და პირველიც გავიდა სამეგრელოს მთეებში მათთან საომრად. რამდენჯერ იყო იგი ტყვედ. რამდენჯერ ყოფილა სიკვდილის პირად, მაგრამ ის არ დაშინებულა. თავის თანამდებობის ასრულების დროს რამდენი ათეული ყაჩაღები ყავს მას დაჭერილი და დახოცილი, მაგრამ ბოლოს მას ბედმა უმტყუნა და ვერაგულად იქნა მოკლული დიდი პატივით და ასაფლავეს განსვენებული. გვარდიელების დავალებით სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვა გვარდიელმა ალ. გუგუნავამ. სიტყვები წარმოსთქვეს ს. ს. დ. მ. პარტიის კომიტეტის, ს. ფ. და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებმა.

ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპ. კავშირმა დაადგინა ყოველივე ხარჯები მისი დასაფლავებისა გაეღო, მაგრამ რადგან ერობამ თვითონ ისურვა ასეთი, კავშირმა განსვენებულის მოხუც მშობლებს გვირგვინის მაგიერ 5.000 მ. გადასცა.

მოქალაქეებმა მოაგროვეს 10.000 მ., ქალაქ ზუგდიდის თვითმართველობამ გადადო ცალკე 4.000 მ., ს. ს. დ. მ. პარტიამ 500 მ. და ს. რ. კ. კავშირის მოსამსახურეებმა 500 მ.

**კოოპერატორი.**

---

**სოფელ პატარძეულის თეატრის გამგეობის მოწოდება.**

20 წელიწადზე მეტია, რაც სოფ. პატარძეულში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ იმართება წარმოდგენები. ხალხი დიდის თანაგრძნობით ეპყრობა თეატრს. იგი მას უყვარს და შეგნებულიც აქვს მისი დიადი მნიშვნელობა. საქმის ნორმალურ მსვლელობას ძლიერ ხელს უშლის საკუთარ შენობის უქონლობა. სოფელში არ მოიძებნება ისეთი შენობა, სადაც შესაძლებელი იყოს წარმოდგენების მოწყობა, ეზოებში, ცის ქვეშ, გამართულ წარმოდგენებს კი ხშირად ხელს უშლის წვიმა, ქარი და სხვა. ყველა გრძნობს, რომ თეატრისათვის საკუთარ შენობის აშენება ფრიად საჭიროა. 1 სექტემბერს საზოგადო კრებამ ამოირჩია გამგეობა, რომელსაც დაავალა გამონახოს თეატრისათვის ადგილი და შეეცადოს შენობის აგება. ყველასთვის ცხადია, რომ დღევანდელ პირობებში წარმოდგენების მცირე შემოსავლით შენობის აგება შეუძლებელია.

საჭიროა დახმარება, როგორც ფულით, ისე ხე-ტყით და სხვადასხვა მასალით. გამგეობა მოუწოდებს პატარძეულელებს გაიღონ თავიანთი წვლილი და აძით ხელი შეუწყონ ფრიად სასარგებლო საქმეს. შემოწირულების მიღება დავალებული აქვთ ადგილობრივათ ზაქრო ბილანიშვილს და ვლადიმერ ბილანიშვილს, თფილისში ალექსი (საბა) ბერთიკაშვილს.

სოფ. პატარძეულის თეატრის **გამგეობა.**

— —

P. S. გთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდოთ ეს მოწოდება. **გამგეობა.**

# წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის“ 8 ივლისის ნომერში ხაშურის დეპოს მუშების სახელით ამხ. გვრიტიძე მიყენებს ზოგიერთ ბრალდებებს და მიცხადებს პროტესტს, ვითომ მე გამომედევნოს სახაზინო ოთახებიდან მღვდელი კაპანაძე, მომეწადინებინოს ოთახების დაპატრონება და ვითომ მე მუშები უდიერათ მოვიხსენიე.

ხაშურის უბ. სახაზ. ბინების გამნაწილებელმა კომისიამ 17 მაისს ერთხმათ დაადგინა, სადაც იყო რაიონული გამგეობის წარმომადგენელიც, რომ წინადადება მიეცეს მღვდელ კაპანაძეს, როგორც რკინის გზის სამსახურში არ მყოფს, დასცალოს მის მიერ დაკავებული ოთახი 1 ივნისისთვის და მიეცეს ეს ოთახი მილიციის უფროსს.

რაც შეეხება უკანასკნელ ბრალდებას, ის არ არის მართალი, თუმცა იმ შემთხვევის დროს ზოგიერთ ამხ. მუშების წარმოთქმულ სიტყვებს კი შეეძლო უსიამოვნების ჩამოგდება ჩვენს შორის, მაგრამ ყოველივე ამას მე შევხვდი გულ გრილათ და შევიკავე თავი.

ხაშურის უბნის სახაზინო ბინების გამნაწილებელი კომისია ვერ შეთანხმებია ამავე უბანში წევის დარგის სექციის გამგეობას არსებულ ბინის კომისიას და პროტესტს მიცხადებენ მე.

ყველა ზემოჩამოთვლილის შემდეგ, მე ვფიქრობ, რომ გამორკვეული იქნება, თუ ვის მიმართ უნდა ყოფილიყო მიმართული პროტესტი,—ჩემსკენ თუ იმ კომისიებისკენ, რომელთაც ვერ მოუნახავთ მოქმედების საერთო ხაზი.

ხაშურის უბნის რკ. გზ. მილიციის უფროსი **გ. გოგუა**

# ცნობები

მიხელ დომენტისძე გვენცაძე დაიკარგა ქალაქ ქუთაისში უგზო უკვლოთ 1919 წ. 15 იანვარს. ჭირისუფლებმა მას შემდეგ არაფერი იციან. თუ ვინმემ რამე იცის, სთხოვენ აცნობონ შემდეგი მისამართით: თფილისი, პირველი რაიონის შტაბი მინა გვენცაძე.

# განცხადებანი

## საქართველოს სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

**სასწავლებელში შესასვლელათ თხოვნების მიღება გრძელდება 15 სექტემბრამდის**

(2—2)

## ცეკვის კურსები

მე 27-ე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101.

(5—5)

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამეურნეო შკოლის გამგეს სამეურნეო განთლებით ძველი სენაკის და თამაკონის სკოლებისათვის. ჯამაგირი წლიურად 14400 მან. და ბინა. თხოვნები და curriculum vitae მიიღება 15 ენკენისთვემდე. მისამართი: სენაკის სამაზრო ერობა, აგრონომიულ განყოფილებაში.

(3—2)

## ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ 15 ენკენისთვიდან საჭიროა სპეციალური საგნების მასწავლებელი, საზეინკლო განყოფილების ხელმძღვანელი და სამჭედლო განყოფილების ხელმძღვანელი. მსურველებმა უნდა მიმართონ დაწვრილებითი პირობების გასაგებათ სასწავლებლის მმართველს ქ. ბორჯომში

(3—2)

## საჩუქარი იმას

ვინც მოიტანს **პორთფელს** დოკუმენტებით რომელიც დამრჩა 29 აგვისტოს თფილისიდგან ბორჯომში მიმავალ № 19 მატარებლის მეორე კლასის (№ 2007) ვაგონში. მისამართი: თფილისი, ჟუკოვსკის ქუჩა № 8 დარჩიას ან ბორჯომში ჟორდანიას ქუჩა № 77 (ყოფილი მიხეილოვის ქუჩა).

(2—2)

---

**ექიმი ბ. მ. მუხაძე.**

დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 ს. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

---

**დოქტორი მ. გოლდშტეინი.**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

---

**ექიმი ა. ი. ქუთათელაძე**

ილებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ სალ. 5—7 საათ.. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

---

**ექიმი [illegible]**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

---

**ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**

ილებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფ. 11—06.

---

**ექიმი მ. შ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ილებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეზრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. ილებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

---

**ბორჯომში.**

პროფ. დოქტ. მედიცინისა **მ. პ. მოსეშვილი** ილებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

---

**ექიმი ა. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

---

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

ილებს სპეციალურად—მალარიით (ციებით მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

---

**ექიმი ქალი ა. ბ. შიშლო-სააკაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

## სააფთიაქო საზღვარგარეთელ საქონელს

ბითუმ ფასებში აწოდებს აფთიაქებს და სააფთიაქო საწყობებს

## ი. გ. ლიბერზონი

საწყობთან არის საზღვარგარეთული კოსმეტიკის განყოფილება. ადრესი: განოვის ქ. № 7—ეზოში. ღია დილის 9—3 საათ. და საღ. 5—7 საათ.

(1—1)

## ოზურგეთის საბუღალტერო კურსები

20 ენკენისთვიდან 1919 წ. სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით ქალ. ოზურგეთში იხსნება 6 თვიანი, ერთდროული, საბუღალტერო კურსები, შემდეგი პროგრამით:

1) **ბუღალტერია:** ა) ზოგადი იტალიანური ორმაგი ბუღალტერია, ბ) საკოოპერაციო ბუღალტერია (ე. წ. „ეზერსკის“ გამარტივებული სამმაგი წესით, გ) მუნიციპალური დაწესებულებათა ანგარიშობა ორმაგი წესით). 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ნოტარიული და სავაჭრო უფლება, 4) პოლიტიკური ეკონომია, 5) კომერციული კორესპონდენცია, 6) კალიგრაფია. მეცადინეობა იქნება კვირაში სამჯერ—საღამოობით. დაწვრილებითი ცნობები მიიღება გამგესთან დილის 8—2 ს ერობაში, საღამოს 5—7 ს. ბინაზე, ქუთაისის ქუჩა.

(2—1)

კურსების გამგე **ვლ. თ. ჩხაიძე.**

## მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ

## ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საზრვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს, **სამჭედლოებისათვის საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი,** საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა მიიღება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თფილისი, გრიბოედოვის ქუჩ. № 6 და კრუზენშტერნის № 8. ტელ. № 11—45. საწყობი ქვანახშირისა: დიდუბე, ფოთის ქ., ქალაქის შეშის საწყობის ეზოში.

(5—5)

ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი **მთავარი სააგენტო.**

მშრომელ მბეჭდავთ სტამბა რედაქციისა, გაზეთის შესახვევი № 1.